№2529 2014 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ვუდიმპექსისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 10 ივნისის №485 განკარგულებითა და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „სითი ლოფტისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 სექტემბრის №15/09/07 განკარგულებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული საპრივატიზებო პირობების დადგენისა და შპს „ვუდიმპექსის“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2013 წლის 6 სექტემბრის №1037-Iს საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

ა) გაუქმდეს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ვუდიმპექსიისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 10 ივნისის №485 განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“-,,დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობები;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის გაუქმების სანაცვლოდ, შპს „ვუდიმპექსმა“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადოს ანაზღაურება - 40 000 (ორმოცი ათასი) ლარის ოდენობით, ამ განკარგულების გამოცემიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.

2. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2013 წლის 6 სექტემბრის №1037-Iს საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დადგინდეს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „სითი ლოფტისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 სექტემბრის №15/09/07 განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობებისგან განსხვავებული შემდეგი საპრივატიზებო პირობები:

ა) „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „სითი ლოფტისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 სექტემბრის №15/09/07 განკარგულებით გადაცემულ ქონებაზე სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება 2016 წლის ბოლომდე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით, არანაკლებ 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ინვესტიციის განხორციელება.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ძალაში შევიდეს მას შემდეგ, რაც:

ა) შპს „ვუდიმპექსი“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხდის ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ თანხას;

ბ) შპს „სითი ლოფტი“, ამ განკარგულების გამოცემიდან 3 (სამი) თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან გააფორმებს ამ განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების ცვლილების თაობაზე შესაბამის ხელშეკრულებას.

4. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს „ვუდიმპექსი“ (ს/კ 215149300) გათავისუფლდეს მასსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (უფლებამონაცვლე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) შორის 2010 წლის 8 ივლისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო, ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე, დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან იმ პირობით, რომ შპს „ვუდიმპექსი“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხდის ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ თანხას, ხოლო შპს „სითი ლოფტის“ (ს/კ 404909934) მიერ შესრულებული იქნება ამ განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებები.

5. ამ განკარგულების მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე, შპს „სითი ლოფტმა“ უზრუნველყოს ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების (მათ შორის, ამავე ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და შპს „სითი ლოფტს“ შორის 2011 წლის 16 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების

საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველსაყოფად, არანაკლებ 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობის, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენა, რომლის ვადაც ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 4 (ოთხი) თვით ან უზრუნველყოს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „სითი ლოფტისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 სექტემბრის №15/09/07 განკარგულების მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარდგენილი საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ოდენობის 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) აშშ დოლარამდე გაზრდა და საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის 2017 წლის 1 მაისამდე გაგრძელება.

6. ამ განკარგულების გამოცემიდან 30 (ოცდაათი) დღეში შპს „ვუდიმპექსმა“ უზრუნველყოს ვადაგაგრძელებული ან ახალი საბანკო გარანტიის წარდგენა 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა იქნება 2017 წლის 1 მაისამდე და რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და შპს „ვუდიმპექსს“ შორის 2010 წლის 8 ივლისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდას იმ შემთხვევაში, თუ შპს „ვუდიმპექსი“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ არ გადაიხდის ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ თანხას, ხოლო შპს „სითი ლოფტი“ დაარღვევს ამ განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

7. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**